European Bank
for Reconstruction and Development

Independent
Project
Accountability
Mechanism

MAP მონიტორინგის ანგარიში -VI
მონიტორინგის პერიოდი: თებერვალი – ივლისი 2023

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი
EBRD-ის პროექტის ნომერი 46778
საქმე 2018/08

ნოემბერი 2023

შენიშვნა: ეს საქმე მიღებულია პროექტის გასაჩივრების (PCM), EBRD–ის ყოფილი ანგარიშვალდებულების მექანიზმის ფარგლებში, 2014 წლის PCM–ის პროცედურული წესების შესაბამისად და მონიტორინგის ეტაპი თავიდან წარიმართებოდა PCM-ის წესებისა და პროცედურების მიხედვით.

2020 წლის 1 ივლისიდან, პროექტის გასაჩივრების მექანიზმი შეცვალა პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელმა მექანიზმმა (IPAM), რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის საფუძველზე. საქმის გადასვლის შესახებ პოლიტიკის დებულებების შესაბამისად, ნენსკრას ჰიდროელექტრო სადგურის პროექტის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება ზემოთ ხსენებული თარიღიდან 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკასთან და დამტკიცებულ MAP მონიტორინგის გეგმასთან შესაბამისობით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) EBRD–ის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმია. ის განიხილავს პროექტით დაზარალებული ადამიანებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ, გარემოს დაცვის, სოციალურ და პროექტის საჯაროობასთან დაკავშირებულ საკითხებს. IPAM–ს აქვს რეაგირების ორი საშუალება: i) პრობლემის მოგვარება, რომელიც მხარს უჭერს მოსარჩელესა და კლიენტებს შორის დიალოგს, რათა გადაიჭრას გარემოს დაცვის, სოციალური და ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებული საკითხები, ბრალის ან დანაშაულის მიკუთვნების გარეშე; ან ii) შესაბამისობის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს შეასრულა თუ არა, EBRD-მა თავისივე გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა და ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა პროექტთან დაკავშირებით.

IPAM–ის შესახებ ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: ipam@ebrd.com ან ეწვიეთ IPAM webpage.

საკონტაქტო ინფორმაცია	**როგორ შევიტანოთ საჩივარი IPAM-ში**
პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 5 ბანკის ქუჩა ლონდონი, E14 4BG ტელ: +44 (0)20 7338 6000 Email: ipam@ebrd.com	EBRD-ის პროექტის გარემოს დაცვის და სოციალური კუთხით შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გასაჩივრება შესაძლებელია ელ. ფოსტით, ტელეფონით ან მითითებულ მისამართზე წერილის გამოგზავნით ან ონლაინ ფორმის შევსებით https://www.ebrd.com/project-finance/ipam.html

სარჩევი

აბრევიატურების სია ..... Error! Bookmark not defined.

მოკლე შეჯამება ..... Error! Bookmark not defined.

1. შესავალი ..... **Error! Bookmark not defined.**
2. მონიტორინგის ანგარიში 7

2.1 ამ პერიოდის მონიტორინგის ქმედებები 7

2.2 პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის აქტივობები 7

2.3 მონიტორინგის დასკვნები და შემდგომი ნაბიჯები 8

2.4 ცხრილი 1: MAP–ის განხორციელების პროგრესი - მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში განხორციელებული ქმედებები, წინა პერიოდიდან დარჩენილი აქტივობები და ამჟამინდელი სტატუსი 10

თუ ამ ანგარიშში სხვაგვარად არ არის მითითებული, აქ მოცემული ტერმინები განსაზღვრულია 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკით.

აბრევიატურები

აბრევიატურა	სრული ფორმა
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
ESIA	გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება
ESAP	გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმა
ESD	EBRD-ის გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების დეპარტამენტი
ESP	EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა
GIA	გენდერული ზემოქმედების შეფასება
GN	სახელმძღვანელო მითითება
GoG	საქართველოს მთავრობა
გამსესხებლები /დონორები	იგულისხმება პროექტის დამფინანსებლები, მათ შორის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), აზიის განვითარების ბანკი (ADB), აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB), კორეის განვითარების ბანკი (KDB) კორეის სავაჭრო დაზღვევის კორპორაცია (K-SURE)
MAP	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა
PAP or Policy	IPAM-ის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა
PCM	პროექტის გასაჩივრების მექანიზმი
პროექტი	ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (46778) საქართველოში

მოკლე შეჯამება

2018 წლის 31 მაისს, პროექტის გასაჩივრების მექანიზმმა (PCM), ნენსკრა ჰესის პროექტთან (Nenskra HPP (46778) დაკავშირებით, მიიღო საჩივარი საქართველოს ჭუბერის თემის წევრებისგან. მათთან ერთად სარჩელის თანაშემომტანები იყვნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საერთაშორისო ბანკების საქმიანობის მაკონტროლებელი ქსელი (CEE Bankwatch Network) და მწვანე ალტერნატივა (მოსარჩელეები).

PCM ექსპერტმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო შესაბამისობის მიმოხილვაზე, გამოავლინა გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკის ხუთ (5) შესრულების სტანდარტთან შეუსაბამობა და წარმოადგინა თერთმეტი (11) პროექტის დონის და სისტემური რეკომენდაცია აღნიშნული შეუსაბამობის მოსაგვარებლად.

2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად, EBRD-ის მენეჯმენტმა, ექსპერტის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის, მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) მოამზადა. მენეჯმენტმა მიმართა აუდიტის კომიტეტს MAP-ის პროექტის დასამტკიცებლად 2020 წლის 16 ივლისს. აუდიტის კომიტეტის წევრების უკუკავშირის შემდეგ, MAP–სა და საბჭოში მცირე ცვლილებები იქნა შეტანილი გაუპროტესტებლობის პროცედურის საფუძველზე, საბოლოო ვერსია დამტკიცდა 2020 წლის აგვისტოში, რაც მოიცავდა თერთმეტ (11) განსახორციელებელ ქმედებას.

შესაბამისობის განხილვის ანგარიში და დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) გამოქვეყნდა IPAM–ის საქმეთა რეესტრში, 2020 წლის 11 აგვისტოს, და MAP–ის მონიტორინგის გეგმა, იმ ქმედებების შესახებ, რომლებსაც IPAM განახორციელებს მონიტორინგის პერიოდში გამოქვეყნდა 2020 წლის ნოემბერში.

საბჭოს მიერ დამტკიცებულმა MAP-მა განსაზღვრა, რომ ყველა ქმედება დასრულდებოდა 2022 წლის ივნისისთვის და შესაბამისად, IPAM მონიტორინგის ეტაპი ამ საქმისთვის გაგრძელდებოდა 2020 წლის სექტემბრიდან 2023 წლის ივლისამდე. IPAM-ის მიერ 2020 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ MAP მონიტორინგის გეგმაში აღნიშნულია, რომ ვადები და მონიტორინგის ანგარიშების რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს სესხის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან გამომდინარე, რადგან მთელი რიგი ქმედებები დამოკიდებულია ამ თარიღზე.

პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა ადგენს, რომ IPAM განიხილავს მოქმედებას დასრულებულად, როდესაც დაკისრებული ამოცანები შესრულდება მითითებულ ვადებში.[1]

[1] პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის 2.8 პუნქტის თანახმად, „მენეჯმენტის სამოქმედო გეგმები განხორციელებულად ჩაითვლება, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს: i) [MAP-ში] გათვალისწინებული განხორციელების გეგმები და ვალდებულებები ეფექტურად ხორციელდება; და ii) განხორციელების გრაფიკები დაცულია.

საქმე 2018/08-ის შემთხვევაში, შემოთავაზებული თერთმეტი ქმედებიდან დღეისათვის სამი დასრულებულია (ქმედებები 1, 3 და 9) და მათგან მხოლოდ ერთი შეესაბამებოდა სრულად დადგენილ კრიტერიუმებს.

2021 წლის ნოემბერში მენეჯმენტმა აცნობა IPAM-ს, რომ პროექტი შეფერხდა და შედეგად, MAP ვერ შეასრულებდა საბჭოს მიერ დადგენილ ვადებს. IPAM-ის მოთხოვნით, მენეჯმენტმა წარმოადგინა შესწორებული ვადები 2022 წლის 22 მარტს (იხ. MAP-ის მონიტორინგის ანგარიში III), ქმედებებისთვის 2, 4, 6, 7, 8, 9 და 10.

ეს ანგარიში მოიცავს **მეექვსე მონიტორინგის პერიოდს,** რომელიც გრძელდება 2023 წლის თებერვლიდან ივლისამდე. IPAM ახორციელებს MAP-ის განხორციელების მონიტორინგს სამი წლის განმავლობაში და უკვე გამოაქვეყნა მონიტორინგის ხუთი ანგარიში (იხილეთ საქმეთა რეესტრი წინა ანგარიშების გასაცნობად).

მონიტორინგის მეექვსე პერიოდისთვის IPAM-ის მონიტორინგი ეხებოდა ვადაგადაცილებულ ქმედებებს 2, 4 (iii), 5, 6, 7, 8 და 10); და ერთ განმეორებად ქმედებას (ქმედება 11).

პერიოდის ბოლოს, **IPAM იუწყება, რომ გარკვეული პროგრესია ქმედება 11-ის შემთხვევაში და მხოლოდ ქმედება 2 დასრულდა.** ყველა სხვა ქმედება, რომელიც უკვე დაგვიანებული იყო, რჩება ღია და ელოდება დასრულებას.

პროექტთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელება (ქმედებები 5, 6, 7, 8, 10 და 11) შეჩერებულია პროექტის შეფერხების გამო. თუმცა, ერთი სისტემური ქმედება (ქმედება 4.iii) გადაიდო დასაბუთების გარეშე.

ქვემოთ მოცემულია მეექვსე მონიტორინგის პერიოდის ქმედებების შეჯამება:

მენეჯმენტის ქმედება 2 – მენეჯმენტს უნდა ჩაეტარებინა ხარვეზების ანალიზი და მოემზადებინა ახალი PR7 (მკვიდრი მოსახლეობა) სახელმძღვანელო შენიშვნა 2019 წლის ESP-სთვის 2021 წლის ივლისისთვის. ვადები შეიცვალა 2023 წლის 1 კვარტლისთვის. PR 7 GN მომზადდა და გამოქვეყნდა ბანკის ვებსაიტზე. ქმედება დასრულებულია.

მენეჯმენტის ქმედება 4.iii – მოიცავდა ორ ქვე-ქმედებას (სახელმძღვანელო მითითება გენდერულ საკითხებზე და ტრენინგ სესია ბანკის თანამშრომლებისთვის). ისინი უნდა დასრულებულიყო 2021 წლის ივლისისთვის თავდაპირველი ვადების მიხედვით და 2022 წლის 3 კვარტალში შესწორებული ვადების მიხედვით. ქმედება ნაწილობრივ დასრულებულია. ტრენინგი ჩატარდა 2023 წლის აპრილში, მაგრამ სახელმძღვანელო მითითება არ არის დასრულებული. ქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ მენეჯმენტს არ მოუწოდებია დასრულების ვადები.

მენეჯმენტის ქმედება 5 – მენეჯმენტს უნდა მოემზადებინა სვანეთში PR7-ის გამოყენებადობის შეფასება. MAP-ის დამტკიცების დროს მენეჯმენტი ელოდა, რომ ეს

პუნქტი დაიხურებოდა 24 თვის განმავლობაში (ანუ 2022 წლის აგვისტომდე), ყველა მხარის თანამშრომლობისა და ეროვნული ხელისუფლების მიერ დაწესებული Covid-19 შეზღუდვების გათვალისწინებით. მენეჯმენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის შემდეგ ამ ქმედების მხრივ წინსვლა არ ყოფილა პროექტის შეფერხების გამო. ქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ მენეჯმენტს არ მოუწოდებია დასრულების ვადები.

მენეჯმენტის ქმედება 6 – კუმულაციური ზემოქმედების შეფასების (CIA) განახლება და გაზიარება უნდა მომხდარიყო 2022 წლის იანვრისთვის თავდაპირველი ვადის მიხედვით და 2023 წლის 1-ლი კვარტალისათვის შესწორებული ვადის მიხედვით. IPAM-მა განიხილა კუმულაციური ზემოქმედების შეფასების კვლევა და დაადასტურა, რომ ის აკმაყოფილებს შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციას. თუმცა გაზიარება არ მომხდარა. ქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ მენეჯმენტს არ მოუწოდებია დასრულების ვადები.

მენეჯმენტის ქმედება 7 – მენეჯმენტს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია ალტერნატივების შეფასების შესახებ 2021 წლის სექტემბრისთვის თავდაპირველი ვადების მიხედვით და 2023 წლის 1 კვარტალისათვის შესწორებული ვადების მიხედვით. შეფასება მომზადდა და გაზიარდა დაინტერესებულ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, თუმცა, ჯერ არ გასაჯაროებულა. ქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ მენეჯმენტის მიერ არ არის მოწოდებული დასრულების ვადები.

მენეჯმენტის ქმედება 8 – ეს ქმედება შედგებოდა ორი ქვე-ქმედებისგან (გენდერული ზემოქმედების შეფასების (GIA) და სამოქმედო გეგმისა და ტექნიკური თანამშრომლობის კომპონენტის მომზადება, რომლებიც უნდა დასრულებულიყო 2021 წლის ბოლოს. შემდეგ GIA-ს ვადები გადაიდო მესამე კვარტლისთვის. 2022. IPAM-მა განიხილა GIA-ს და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია და ადასტურებს, რომ შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაცია გათვალისწინებულია, თუმცა, დოკუმენტი არ არის გაზიარებული. ქმედება 8-ის მეორე ელემენტი, ტექნიკური თანამშრომლობის პროექტი დაგეგმილია. მოქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ მენეჯმენტის მიერ არ არის მოწოდებული დასრულების ვადები.

მენეჯმენტის ქმედება 10 – მენეჯმენტს მოეთხოვებოდა კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის განახლება 2020 წლის იანვრისთვის თავდაპირველი ვადების მიხედვით და 2022 წლის მესამე კვარტალისათვის შესწორებული ვადების მიხედვით. IPAM-მა განიხილა კულტურული მემკვიდრეობის ზემოქმედების შეფასების კვლევისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის საბოლოო ვერსია და დაადასტურა, რომ შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციები გათვალისწინებულია. თუმცა, გეგმის გაზიარება და განხორციელება ჯერ არ მომხდარა. მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ მენეჯმენტს არ მოუწოდებია დასრულების ვადები.

მენეჯმენტის ქმედება 11 – ეს ქმედება მოითხოვდა კლიენტთან ჩართულობას გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის განხილვისა და პროექტის შესაძლებლობების მოთხოვნების შესაფასებლად პროექტის სხვადასხვა ვალდებულებებთან მიმართებაში, რათა მოხდეს გარემოს დაცვისა და სოციალური მოთხოვნების სრული მიღება და განხორციელება და IPAM-ის განახლება. იმის გამო, რომ ეს არის განმეორებადი ქმედება, არ არის განსაზღვრული ვადები დასრულებისთვის. მენეჯმენტმა მოგვაწოდა ინფორმაცია სიახლეების შესახებ. მონიტორინგი გაგრძელდება.

შესაბამისობის პროცესის შედეგები და ვადები

No.	აქტივობა	ვადა
1.	შესრულების მიმოხილვის დასრულება	ივლისი 2020
2.	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის დამტკიცება	აგვისტო 2020
3.	MAP-ის მონიტორინგის გეგმა	ნოემბერი 2020
4.	მონიტორინგის პირველი ანგარიში, რომელიც მოიცავს 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის იანვრამდე პერიოდს	აპრილი 2021
5.	მონიტორინგის მე-2 ანგარიში, რომელიც მოიცავს 2021 წლის თებერვლიდან ივლისამდე პერიოდს	ნოემბერი 2021
6.	მონიტორინგის მე-3 ანგარიში 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის იანვრამდე	მაისი 2022
7.	მონიტორინგის მე-4 ანგარიში 2022 წლის თებერვალი - ივლისი	ნოემბერი 2022
8.	მონიტორინგის მე-5 ანგარიში, 2022 წლის აგვისტო - 2023 წლის 2023 წლის იანვარი	მაისი 2023
9.	მონიტორინგის მეექვსე ანგარიში 2023 წლის თებერვალი - ივლისი	ნოემბერი 2023

მონიტორინგის მეშვიდე პერიოდისთვის, რომელიც ეხება MAP-ის განხორციელებას 2023 წლის აგვისტოდან 2024 წლის იანვრამდე, IPAM მონიტორინგს გაუწევს ყველა დარჩენილ მოქმედებას. თუმცა, არცერთ დარჩენილ ქმედებას არ აქვს მენეჯმენტის მიერ მოწოდებული შესრულების კონკრეტული ვადები.

მონიტორინგის შემდეგი ანგარიშის გასაჯაროება 2024 წლის თებერვლის ბოლოს იგეგმება.

1. შესავალი

2018 წლის 31 მაისს, პროექტის გასაჩივრების მექანიზმმა (PCM), ნენსკრა ჰესის პროექტთან Nenskra HPP (46778) დაკავშირებით, მიიღო საჩივარი საქართველოს ჭუბერის თემის წევრებისგან. სარჩელის თანაშემომტანები იყვნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საერთაშორისო ბანკების საქმიანობის მაკონტროლებელი ქსელი (CEE Bankwatch Network) და მწვანე ალტერნატივა (მოსარჩელეები).

PCM ექსპერტმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო შესაბამისობის მიმოხილვაზე, გამოავლინა გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკის ხუთ (5) შესრულების სტანდარტთან შეუსაბამობა და წარმოადგინა თერთმეტი (11) პროექტის დონის და სისტემური რეკომენდაცია აღნიშნული შეუსაბამობის მოსაგვარებლად. ექსპერტმა დაადგინა, რომ ბანკი არ შეესაბამებოდა 2014 წლის ESP–ის 7, 1, 5, 8 და 10-ის შესრულების მოთხოვნებს, რაც ასახულია შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში.

2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად, EBRD-ის მენეჯმენტმა, ექსპერტის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის, მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) მოამზადა. მენეჯმენტმა მიმართა აუდიტის კომიტეტს MAP-ის პროექტის დასამტკიცებლად 2020 წლის 16 ივლისს. აუდიტის კომიტეტის წევრებმა მოითხოვეს მცირე ცვლილებების შეტანა, რის შემდეგაც გაუპროტესტებლობის პროცედურის საფუძველზე, საბოლოო ვერსია დამტკიცდა 2020 წლის აგვისტოში.

შესაბამისობის განხილვის ანგარიში და დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) გამოქვეყნდა IPAM–ის საქმეთა რეესტრში, 2020 წლის 11 აგვისტოს, ამრიგად, დაიწყო MAP–ის მონიტორინგის ეტაპი.

2020 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა (PAP), რითაც შეიცვალა 2014 წლის საპროცედურო წესები. შესაბამისად, PAP–ის V ნაწილში დადგენილი გარდამავალი დებულებების თანახმად, ნენსკრას პროექტის MAP–ის შესრულების მონიტორინგი IPAM–ის პასუხისმგებლობაა, PAP-ის მონიტორინგის დებულებების შესაბამისად (PAP-ის 2.8 პუნქტი).

IPAM–მა შეადგინა და გააზიარა ამ საქმის მონიტორინგის გეგმა დამტკიცებული MAP-ის საფუძველზე. მონიტორინგის პირველი 18 თვის განმავლობაში, როგორც პროექტის, ისე სისტემური ქმედებების განხორციელების მუდმივი შეფერხებების გათვალისწინებით, IPAM–მა მენეჯმენტიდან მოითხოვა განახლებული ვადები. მენეჯმენტმა წარმოადგინა განახლებული ვადები მესამე მონიტორინგის პერიოდში და IPAM ამჟამად მონიტორინგს ასრულებს ამ განახლებული ვადით.

ეს დოკუმენტი არის მეექვსე მონიტორინგის ანგარიში, რომელიც მოიცავს IPAM-ის მონიტორინგის ღონისძიებებს მენეჯმენტის შესაბამის ქმედებებთან მიმართებაში 2023 წლის თებერვლიდან ივლისამდე.

1. მონიტორინგის ანგარიში

2.1 ამ პერიოდის მონიტორინგის ქმედებები

მიმდინარე მონიტორინგის პერიოდი მოიცავს ქმედებებს, რომლებიც წინა პერიოდიდან განსახორციელებელი დარჩა (ქმედებები 2, 4 (iii), 5, 6, 7, 8 და 10); და ერთი განმეორებადი ქმედება (ქმედება 11).

2.2. ამ პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის აქტივობები

პერიოდის განმავლობაში და მონიტორინგის განსახორციელებელი ქმედებებიდან გამომდინარე, IPAM-მა გამოითხოვა ინფორმაცია მენეჯმენტისგან ქმედებების მიმდინარეობის, ასევე პროექტთან დაკავშირებული სიტუაციის შესახებ.

ვინაიდან პროექტთან დაკავშირებული ყველა ქმედება შეჩერებულია, IPAM ორიენტირებული იყო იმ სისტემური ქმედებების მონიტორინგზე, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ბანკის მიერ პროექტის ამჟამინდელი ვითარების მიუხედავად.

IPAM-ს არ უთანამშრომლია მომთხოვნებთან მონიტორინგის ამ პერიოდში იმის გათვალისწინებით, რადგან პროექტთან დაკავშირებული ყველა ქმედება შეჩერებულია.

სიახლეები მენეჯმენტისგან

მენეჯმენტმა გვაცნობა, რომ პროექტი შეჩერებულია მანამ, სანამ არ დასრულდება განხორციელების შეთანხმება და EPC კონტრაქტორის შერჩევის პროცესი. დარჩენილი MAP სამოქმედო პუნქტები დამოკიდებულია პროექტის ხელახლა დაწყებაზე და განხორციელდება პროექტის ციკლის შესაბამის დროს.

2.3. მონიტორინგის დასკვნები და შემდგომი ნაბიჯები

ეს ანგარიში მოიცავს მეექვსე მონიტორინგის პერიოდს, 2023 წლის თებერვლიდან ივლისამდე და ასახავს MAP-ის განხორციელების სტატუსს იმ დროისთვის. 2023 წლის აგვისტოდან განხორციელებული ნებისმიერი ქმედება აისახება მონიტორინგის მომდევნო ანგარიშში.

მონიტორინგის შედეგად IPAM მიიჩნევს, რომ მონიტორინგის ამ პერიოდში დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ქმედება 2 და 11 (განმეორებადი ქმედება).

მეექვსე მონიტორინგის პერიოდში მენეჯმენტმა დაასრულა ერთი სისტემური ქმედება, დაასრულა და გამოაქვეყნა PR 7 სახელმძღვანელო მითითება ბანკის ვებგვერდზე.: https://www.ebrd.com/who-we-are/our-values/environmental-and-social-policy/implementation.html

ასევე წინსვლაა მეორე სისტემურ ქმედებასთან დაკავშირებით, 2019 წლის ESP-ზე დაფუძნებული შიდა სახელმძღვანელო მითითების ჩამოყალიბებით უფრო ფართო გენდერულ მოსაზრებების გათვალისწინებით და გარემოს დაცვისა და სოციალური დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ტრენინგის ორგანიზებით, რომელსაც IPAM-ის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ. თუმცა, დოკუმენტი ჯერ კიდევ ელოდება საბოლოო დამტკიცებას.

ქვემოთ მოცემულია მეექვსე მონიტორინგის ანგარიშის ქმედებების შეჯამება:

მენეჯმენტის ქმედება 2 – მენეჯმენტს უნდა ჩაეტარებინა ხარვეზების ანალიზი და მოემზადებინა ახალი PR7 (მკვიდრი მოსახლეობა) სახელმძღვანელო შენიშვნა 2019 წლის ESP-სთვის 2021 წლის ივლისისთვის. ვადები შეიცვალა 2023 წლის 1 კვარტლისთვის. PR 7 GN მომზადდა და გამოქვეყნდა ბანკის ვებსაიტზე. ქმედება დასრულებულია.

მენეჯმენტის ქმედება 4.iii – მოიცავდა ორ ქვე-ქმედებას (სახელმძღვანელო მითითება გენდერულ საკითხებზე და ტრენინგ სესია ბანკის თანამშრომლებისთვის). ისინი უნდა დასრულებულიყო 2021 წლის ივლისისთვის თავდაპირველი ვადების მიხედვით და 2022 წლის 3 კვარტალში შესწორებული ვადების მიხედვით. ქმედება ნაწილობრივ დასრულებულია. ტრენინგი ჩატარდა 2023 წლის აპრილში, მაგრამ სახელმძღვანელო მითითება არ არის დასრულებული. ქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ მენეჯმენტის მიერ არ არის მოწოდებული დასრულების ვადები.

მენეჯმენტის ქმედება 5 – მენეჯმენტს უნდა მოემზადებინა სვანეთში PR7-ის გამოყენებადობის შეფასება. MAP-ის დამტკიცების დროს მენეჯმენტი ელოდა, რომ ეს პუნქტი დაიხურებოდა 24 თვის განმავლობაში (ანუ 2022 წლის აგვისტომდე), ყველა მხარის თანამშრომლობისა და ეროვნული ხელისუფლების მიერ დაწესებული Covid-19 შეზღუდვების გათვალისწინებით. მენეჯმენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის შემდეგ ამ ქმედების მხრივ წინსვლა არ ყოფილა პროექტის შეფერხების გამო. ქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ მენეჯმენტის მიერ არ არის მოწოდებული დასრულების ვადები.

მენეჯმენტის ქმედება 6 – კუმულაციური ზემოქმედების შეფასების (CIA) განახლება და გაზიარება უნდა მომხდარიყო2022 წლის იანვრისთვის თავდაპირველი ვადის მიხედვით და 2023 წლის 1-ლი კვარტალისათვის შესწორებული ვადის მიხედვით. IPAM-მა განიხილა კუმულაციური ზემოქმედების შეფასების კვლევა და დაადასტურა, რომ ის აკმაყოფილებს შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციას. თუმცა გაზიარება არ მომხდარა. ქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ მენეჯმენტის მიერ არ არის მოწოდებული დასრულების ვადები.

მენეჯმენტის ქმედება 7 – მენეჯმენტს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია ალტერნატივების შეფასების შესახებ 2021 წლის სექტემბრისთვის თავდაპირველი ვადების მიხედვით და 2023 წლის 1 კვარტალისათვის შესწორებული ვადების მიხედვით. შეფასება მომზადდა და გაზიარდა დაინტერესებულ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, თუმცა, ჯერ არ გასაჯაროებულა. ქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ მენეჯმენტს არ მოუწოდებია დასრულების ვადები.

მენეჯმენტის ქმედება 8 – ეს ქმედება შედგებოდა ორი ქვე-მოქმედებისგან (გენდერული ზემოქმედების შეფასების (GIA) და სამოქმედო გეგმისა და ტექნიკური თანამშრომლობის კომპონენტის მომზადება, რომლებიც უნდა დასრულებულიყო 2021 წლის ბოლოს. შემდეგ GIA-ს ვადები გადაიდო მესამე კვარტლისთვის. 2022. IPAM-მა განიხილა GIA-ს და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია და ადასტურებს, რომ შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაცია გათვალისწინებულია, თუმცა, დოკუმენტი არ არის გაზიარებული. ქმედება 8-ის მეორე ელემენტი, ტექნიკური თანამშრომლობის პროექტი დაგეგმილია. მოქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ მენეჯმენტს არ მოუწოდებია დასრულების ვადები.

მენეჯმენტის ქმედება 10 – მენეჯმენტს მოეთხოვებოდა კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის განახლება 2020 წლის იანვრისთვის თავდაპირველი ვადების მიხედვით და 2022 წლის მესამე კვარტალისათვის შესწორებული ვადების მიხედვით. IPAM-მა განიხილა კულტურული მემკვიდრეობის ზემოქმედების შეფასების კვლევისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის საბოლოო ვერსია და დაადასტურა, რომ შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციები გათვალისწინებულია. თუმცა, გეგმის გაზიარება და განხორციელება ჯერ არ მომხდარა. მონიტორინგი გაგრძელდება, მაგრამ მენეჯმენტს არ მოუწოდებია დასრულების ვადები.

მენეჯმენტის ქმედება 11 – ეს ქმედება მოითხოვდა კლიენტთან ჩართულობას გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის განხილვისა და პროექტის შესაძლებლობების მოთხოვნების შესაფასებლად პროექტის სხვადასხვა ვალდებულებებთან მიმართებაში, რათა მოხდეს გარემოს დაცვისა და სოციალური მოთხოვნების სრული მიღება და განხორციელება და IPAM-ის განახლება. იმის გამო, რომ ეს არის განმეორებადი ქმედება, არ არის განსაზღვრული ვადები დასრულებისთვის. მენეჯმენტმა მოგვაწოდა ინფორმაცია სიახლეების შესახებ. მონიტორინგი გაგრძელდება.

შემდგომი ნაბიჯები

მონიტორინგის მეშვიდე პერიოდისთვის IPAM მონიტორინგს გაუწევს მენეჯმენტის ქმედებებს 4 (iii), 5, 6, 7,8,10 და 11 (განმეორებადი ქმედება).

მონიტორინგის შემდეგი ანგარიშის გასაჯაროება 2024 წლის თებერვლის ბოლოს იგეგმება.

2.4 ცხრილი 1: MAP–ის განხორციელების პროგრესი - მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში განსახორციელებელი ქმედებები, წინა მონიტორინგის პერიოდებიდან დარჩენილი ქმედებები და ამჟამინდელი სტატუსი

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	მონიტორინგის შედეგი და გადაწყვეტილებები
2.	შესწორებული PR7-ის ხარვეზების ანალიზის განხორციელება 2019 წლის ESP-ში და ახალი PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა, რომელიც ამჟამად მზადდება, ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით, გათვალისწინებულ იქნას ყველა ელემენტი. PR7 სახელმძღვანელო მითითების დასრულება და გამოქვეყნება. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: მონიტორინგის პირველი პერიოდის ბოლოს (იანვარი 2021)**	ხარვეზების ანალიზის მიმოხილვა და ბორდის მიმოხილვის და გაზიარების პროცედურის დადასტურება.	ივლისი 2021 **მოწოდებული შეცვლილი ვადები: Q1 2023**	- მენეჯმენტის მიერ შესრულებული ხარვეზების ანალიზი - PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა განხილულია საბჭოს მიერ - მენეჯმენტის მიერ გაზიარებული PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა	**დასრულებული**	PR 7 GN მომზადდა და გამოქვეყნდა ბანკის ვებსაიტზე: https://www.ebrd.com/who-we-are/our-values/environmental-and-social-policy/implementation.html
4.	(iii) შიდა სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება უფრო ფართო გენდერულ მოსაზრებებზე, რომელიც ეფუძნება 2019 წლის ESP-ს და მათთან დაკავშირებულ შესრულების მოთხოვნებს და ESD-ს ჩაუტარდება ტრენინგს, რათა დაეხმაროს პროექტებში გენდერული საკითხების/რისკების გადაჭრაში. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: მონიტორინგის პირველი პერიოდის ბოლოს**	- გადახედეთ შიდა სახელმძღვანელო მითითებებს უფრო ფართო გენდერული მოსაზრებების ჩართვის შესახებ - მოითხოვეთ ტრენინგის ჩანაწერები - ერთი IPAM გუნდის წევრმა მონაწილეობა მიიღოს ტრენინგში	ივლისი 2021 **მოწოდებული შეცვლილი ვადები: Q3 2022**	- სახელმძღვანელო შენიშვნა განხილულია IPAM-ის მიერ - ტრენინგის დოკუმენტების მიღება IPAM-ის მიერ - ტრენინგში მონაწილეობა მიიღო IPAM-ის გუნდის ერთმა წევრმა	**არ არის დასრულებული**	IPAM-ის გუნდის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში ESD გუნდისთვის 2023 წლის 27 აპრილს. თუმცა, ქმედება არ ითვლება დასრულებულად, რადგან შიდა სახელმძღვანელო შენიშვნა ჯერ კიდევ მენეჯმენტის მიერ

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	მონიტორინგის შედეგი და გადაწყვეტილებები
						განხილვის პროცესშია და არ არის დასრულებული.
5.	გაიარეთ კონსულტაცია პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის პროექტის სპონსორებთან, პროექტის გამსესხებლებთან, საქართველოს მთავრობის შესაბამის დეპარტამენტთან და დარგში საერთაშორისო და ადგილობრივად აღიარებულ ექსპერტებთან, რათა განისაზღვროს შესაბამისი შემდეგი ნაბიჯები პროექტის ESIA-ს კონტექსტში და PR7-ის გამოყენებადობის უფრო ფართო შინაარსთან დაკავშირებით სვანეთში.	- ToR-ის მიმოხილვა მეორე ფაზისთვის -საკონსულტაციო ანგარიშების მიმოხილვა -IPAM-ის მონაწილეობა დამკვირვებლის სახით დაგეგმილ საკონსულტაციო შეხვედრებში - PR 7-ის უფრო ფართო გამოყენებადობის ანგარიშის მიმოხილვა.	ივნისი 2022	- განხორციელდა ჩართულობა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ სვანებთან, კლიენტთან, საქართველოს მთავრობასთან და სსო-ებთან. - IPAM-ის დამკვირვებლის სახით მონაწილეობა - ანგარიში განიხილა IPAM-მა	**მიმდინარე**	MAP-ის დამტკიცების დროს მენეჯმენტი ელოდა, რომ ეს პუნქტი დაიხურებოდა 24 თვის განმავლობაში (2022 წლის აგვისტო), ყველა მხარის თანამშრომლობის და ეროვნული ხელისუფლების მიერ დაწესებული Covid-19 შეზღუდვების გათვალისწინებით. თუმცა, მენეჯმენტმა აცნობა IPAM-ს, რომ ქმედება დამოკიდებულია პროექტის სტატუსზე. IPAM-მა დაადასტურა, რომ 2021 წლიდან ქმედება შეჩერებულია.

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	მონიტორინგის შედეგი და გადაწყვეტილებები
6.	მენეჯმენტი გააგრძელებს ურთიერთობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან, რათა უზრუნველყოს კუმულაციური ზემოქმედების შეფასების (CIA) განახლება და გამოქვეყნება PCM-ის შესაბამისობის ანგარიშის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 12 თვე სესხის ხელშეკრულების ხელმოწერიდან**	განახლებული CIA-ის მიმოხილვა და გაზიარების მტკიცებულება	იანვარი 2022 **მოწოდებული შეცვლილი ვადები: Q1 2023**	- განახლებული CIA განიხილება IPAM-ის მიერ - განახლებული CIA გაზიარებული მენეჯმენტის მიერ	**არ არის დასრულებული**	ქმედება დასრულებულად არ ითვლება, რადგან შეფასება არ გაზიარებულა.
7.	მენეჯმენტი გააგრძელებს თანამშრომლობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან, MAP-ის მესამე პუნქტის პარალელურად, ალტერნატივების შეფასებაზე რეაგირების მიზნით. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 2021 წლის აგვისტო**	შეტყობინებული ქმედებების მიმოხილვა	სექტემბერი 2021 **მოწოდებული შეცვლილი ვადები: Q1 2023**	მენეჯმენტის ანგარიშები განიხილება IPAM-ის მიერ	**არ არის დასრულებული**	ქმედება დასრულებულად არ ითვლება, რადგან შეფასება არ გაზიარებულა.

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	მონიტორინგის შედეგი და გადაწყვეტილებები
8.	შემოთავაზებული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის განხორციელება გაითვალისწინებს დასკვნებზე რეაგირებას, გენდერულ და ინკლუზიის საკითხებთან დაკავშირებით. TC-ის ტექნიკური დავალება გაზიარებული იქნება PCM-ის ოფისთან და მოიცავს ორ ეტაპიან მიდგომას, პირველი - გენდერული ზემოქმედების შეფასების დამატებითი ეტაპი და მეორე, თავიდანვე გათვალისწინებული ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა, რათა გასცდეს EBRD-ის ESP-ის შესაბამისობას. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: ეტაპი I (გენდერული ზემოქმედების შეფასება) – 2021 წლის აგვისტო** **ეტაპი II– ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პროექტი -24 თვე სესხის ხელმოწერის შემდეგ**	- გადახედეთ გენდერული ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, რათა შეაფასოთ გენდერული ზემოქმედება მიგრანტი მუშაკების ნაკადთან, ტრეფიკინგისა და იძულებითი პროსტიტუციის რისკებთან დაკავშირებით GIP-ის შესაბამისად.	2021-ის ბოლოს ოქტომბერი 2021 **მოწოდებული ა შესწორებული ვადები: 2022 Q3 GIA-სთვის და არ არის გათვალისწინებული TC პროექტისთვის ვადები**	- IPAM-ის მიერ განხილულია გენდერული ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამოქმედო გეგმა - TC პროგრამის TOR მიღებულია IPAM-ის მიერ	**GIA და სამოქმედო გეგმა დასრულდა** **TC კომპონენტი არ არის დასრულებული**	IPAM-მა განიხილა GIA-ს და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია და დაადასტურა, რომ ის პასუხობს CR რეკომენდაციას. ანგარიშის გასაჯაროება დაგეგმილია პროექტის ციკლიდან გამომდინარე. ქმედება 8-ის მეორე ელემენტი, ტექნიკური თანამშრომლობის პროექტი მოლოდინის რეჟიმშია პროექტის ციკლზე დამოკიდებულების გამო.
10.	მენეჯმენტი გააგრძელებს კლიენტებთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის გავლენის შეფასების განახლება, რომ მოხდეს PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გათვალისწინება. განახლებული შეფასება შექმნის EPC-ის მენეჯმენტის გეგმების საფუძველს, რომელიც შემდგომ გადაიხედება პროექტის განხორციელების ადრეულ პერიოდში.	- განიხილეთ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების განახლებულ შეფასება და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა. - IPAM ასევე განიხილავს დაგეგმილ საკონსულტაციო შეხვედრებზე დასწრებას პროექტის ზემოქმედების	2021-ის ბოლოს აგვისტო	- მიღებულია კულტურული მემკვიდრეობის ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა. - მიღებულია მონიტორინგის ანგარიში, რომელიც ადასტურებს პროექტის ჯგუფის მიერ კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის მოთხოვნების შესრულებას.	**არ არის დასრულებული**	IPAM-მა განიხილა კულტურული მემკვიდრეობის ზემოქმედების შეფასების და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის საბოლოო ვერსია. ქმედება დასრულებულად არ ითვლება, რადგან შეფასება არ გაზიარებულა.

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	მონიტორინგის შედეგი და გადაწყვეტილებები
	მენეჯმენტის ბოლო ვადა: 12 თვე MAP–ის დამტკიცებიდან (თუ მოგზაურობის შეზღუდვები მოიხსნება)	ქვეშ მყოფ ადამიანებთან, რათა გაეცნოს მათ მოსაზრებებს. - კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის განხორციელების პროგრესის ანგარიშის განხილვა. IPAM შეხვედრის ორგანიზება საჭიროების შემთხვევაში მენეჯმენტთან. - სათემო საინვესტიციო პროექტების მონიტორინგის ანგარიშების განხილვა, რომლებიც შექმნილია კულტურული მემკვიდრეობის მხარდასაჭერად ზემოქმედების მართვის მიღმა	2021 იანვარი 2022 **მოწოდებული შეცვლილი ვადები: Q3 2022**	- სათემო საინვესტიციო პროგრამის მონიტორინგის ანგარიშები მიღებულია, კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერის დამატებითი პროექტების შესახებ. - მიღებულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჩანაწერები.		
11.	მენეჯმენტი თანამშრომლობდა კლიენტთან, გარემოს დაცვის და სოციალური მმართველობის მიმოხილვის ჩასატარებლად და პროექტის შესაძლებლობების მოთხოვნების შესაფასებლად პროექტის სხვადასხვა ვალდებულებების შესაბამისად, რომ უზრუნველყოფილი იყოს გარემოს დაცვის და სოციალური მოთხოვნების სრულად ათვისება და განხორციელება. ამ შედეგების შეფასების შედეგები	პერიოდულად ინფორმაციის მოთხოვნა მიღებული შედეგებისა და ზომების შესახებ.	2021 წლის აგვისტოდან და ბოლო მონიტორინგის ანგარიშამდე	ბოლო ინფორმაცია მიღებულია	**დასრულებულია მონიტორინგის ამ პერიოდისთვის**	უახლესი ინფორმაცია მიღებულია

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	მონიტორინგის შედეგი და გადაწყვეტილებები
	გაზიარდება PCM–ის ოფისთან, მისი განვითარების კვალდაკვალ. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 2021 წლის აგვისტო და პერიოდულად პროექტის დახურვამდე**					